ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №371827

ნომერი: AR180680

თარიღი : 16.09.2012

გაცემის თარიღი : 28.09.2012

გაცნობის თარიღი : 28.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი VII , კორპუსი 5ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაყვალა რატიანი პ/ნ 01010012086
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 4ა ბ. 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის ფასადზე არსებული ფანჯრის ღიობის ნაცვლად კარისა და ვიტრაჟის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ვაჟა ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი N 5ა–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 017/001) შენობის ფასადზე, შპს სტომატოლოგიური კლინიკა "დენტი" კუთვნილი ფართის ფასადზე არსებული ფანჯრის ღიობის ნაცვლად კარისა და ვიტრაჟის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ. თბილისის არქიტექტურის სამსახური.საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს სტომატოლოგიური კლინიკა "დენტი" –ს დირექტორის მაყვალა რატიანის განცხადება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882012408249, საკადასტრო კოდი N 01.14.04.017.001.01.02.504 და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ვაჟა ფშაველას გამზირი VII კვარტალი, კორპუსი N 5ა–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 017/001) შენობის ფასადზე, შპს სტომატოლოგიური კლინიკა "დენტი" კუთვნილი ფართის ფასადზე არსებული ფანჯრის ღიობის ნაცვლად კარისა და ვიტრაჟის მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, იმ შემთხვევაში თუ დამკვეთის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge